DOI:10.52340/PUTK.2233-3541.2026.28.02

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომი „აფხაზეთის საკათალიკოზო“

ACADEMICIAN KORNELI KEKELIDZE'S UNPUBLISHED WORK „THE CATHOLIC CHURCH OF ABKHAZIA“

LEVAN JIKIA
National Archives of Georgia, Doctor of History
Tbilisi, Georgia
ORCID:0000-0001-5309-8425
ljikia123@gmail.com
+995 591 819481

Abstract. The unpublished manuscript by Academician Korneli Kekelidze titled „The Catholicosate of Abkhazia“ is preserved in the personal archive of Simon Janashia at the Historical Central Archive of the National Archives of Georgia. The work consists of ten small-format, typewritten pages. There are corrections in pen here and there, and at the end of the work, the document concludes with the bibliography and initials „K. K“ written in pen. The last letter of which is written in square brackets „Ekelidze“, or „K. Kekelidze“. This confirms that the work belongs to Korneli Kelelidze (the signature matches the calligraphy of Korneli Kekelidze). In addition, at the end of the work, at the bottom-left corner of the final page, there is a note „S. Janashia“. This circumstance and the fact that the work was found in the personal collection of academician Simon Janashia lead us to believe that Korneli Kekelidze submitted the work to Simon Janashia, presumably for review, and most likely, the latter made minor corrections to it (the corrections in the work, in our opinion, resemble Simon Janashia's calligraphy). The bibliography indicated at the end of the work cites the latest published work, which dates back to 1930. As far as we know, Academician Simon Janashia passed away in 1947. Therefore, we can conclude that the aforementioned manuscript by Academician Kornel Kekelidze was written between 1930 and 1947. In his work, Kekelidze provides an argumentative analysis concerning the timeframe and circumstances of the formation of the Abkhazian Catholicosate as well as the manner in which the Mtskheta Catholicosate obtained specific privileges in the united Georgian Kingdom (Kingdom of Georgia), where both Catholicosates coexisted. This is the first time that Kekelidze's unpublished work has been the subject of widespread criticism. The article employs the method of content analysis.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

***Keywords**: Korneli Kekelidze, Simon Janashia, Catholicosate of Abkhazia, Catholicosate of Mtskheta, Kingdom of Georgia.*

ლევან ჯიქია
საქართველოს ეროვნული არქივის ისტორიის დოქტორი;
თბილისი, საქართველო
ORCID:0000-0001-5309-8425
ljikia123@gmail.com
+995 591 819481

აბსტრაქტი. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის სიმონ ჯანაშიას პირად ფონდში ინახება აკადემიკოს კორნელი კეკელიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომი „აფხაზეთის საკათალიკოზო“. ნაშრომი მოიცავს მცირე ფორმატის მანქანაზე ნაბეჭდ ათ გვერდს. ნაშრომში ალაგ-ალაგ გვხვდება კალმით ჩასწორებები, ხოლო ბოლოში მოცემულია გამოყენებული ლიტერატურა და კალმით გაკეთებული ინიციალები „კ. კ.“, რომლის ბოლო ასოსთან კვადრატულ ფრჩხილში მიწერილია „ეკელიძე“, ანუ „კ. კეკელიძე“. აღნიშნული ადასტურებს, რომ ნაშრომი ეკუთვნის კორნელი კეკელიძეს (ხელმოწერა ემთხვევა კორნელი კეკელიძის კალიგრაფიას). გარდა ამისა, ნაშრომის ბოლოს, უკიდურეს მარცხენა ქვედა კიდესთან არის მინაწერი „ს. ჯანაშია“. ეს გარემოება და ის, რომ ნაშრომი აღმოჩნდა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას პირად ფონდში, გვაფიქრებინებს, რომ კორნელი კეკელიძემ ნაშრომი, სავარაუდოდ რეცენზიისთვის, სიმონ ჯანაშიას გადასცა, ხოლო, დიდი ალბათობით, ამ უკანასკნელმა მცირე კორექტივები შეიტანა მასში (ნაშრომში არსებული ჩასწორებები, ჩვენი აზრით, სიმონ ჯანაშიას კალიგრაფიას ჰგავს). ნაშრომის ბოლოს მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა, რომელთაგან ყველაზე გვიან გამოქვეყნებული ნაშრომი 1930 წლით თარიღდება. როგორც ვიცით, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია 1947 წელს გარდაიცვალა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დასახელებული ნაშრომი 1930-1947 წლებს შორის პერიოდში დაიწერა. კ. კეკელიძე ნაშრომში არგუმენტირებულად საუბრობს აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩამოყალიბების დროსა და გარემოებებზე და როგორ მოიპოვა მცხეთის საკათალიკოსომ გარკვეული პრივილეგიები ერთიან ქართულ სამეფოში (საქართველოს სამეფოში), სადაც ორივე საკათალიკოსო თანაარსებობდა. კ. კეკელიძის აღნიშნული გამოუქვეყნებელი ნაშრომი ფართო განსჯის საგანი პირველად ხდება. სტატიაში გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზის მეთოდი.

***საკვანძო სიტყვები**: კორნელი კეკელიძე, სიმონ ჯანაშია, აფხაზეთის საკათალიკოსო, მცხეთის საკათალიკოსო, საქართველოს სამეფო.*

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

შესავალი

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის სიმონ ჯანაშიას პირად ფონდში[1] ინახება აკადემიკოს კორნელი კეკელიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომი „აფხაზეთის საკათალიკოზო“. ნაშრომი მოიცავს მცირე ფორმატის მანქანაზე ნაბეჭდ ათ გვერდს. ნაშრომში ალაგ-ალაგ გვხვდება კალმით ჩასწორებები, ხოლო ბოლოში მოცემულია გამოყენებული ლიტერატურა და კალმით გაკეთებული ინიციალები „კ. კ.“, რომლის ბოლო ასოსთან კვადრატულ ფრჩხილში მიწერილია „ეკელიძე“, ანუ „კ. კეკელიძე“. აღნიშნული ადასტურებს, რომ ნაშრომი ეკუთვნის კორნელი კეკელიძეს (ხელმოწერა ემთხვევა კორნელი კეკელიძის კალიგრაფიას). გარდა ამისა, ნაშრომის ბოლოს, უკიდურეს მარცხენა ქვედა კიდესთან არის მინაწერი „ს. ჯანაშია“. ეს გარემოება და ის, რომ ნაშრომი აღმოჩნდა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას პირად ფონდში, გვაფიქრებინებს, რომ კორნელი კეკელიძემ ნაშრომი, სავარაუდოდ რეცენზიისთვის, სიმონ ჯანაშიას გადასცა, ხოლო, დიდი ალბათობით, ამ უკანასკნელმა მასში მცირე კორექტივები შეიტანა (ნაშრომში არსებული ჩასწორებები, ჩვენი აზრით, სიმონ ჯანაშიას კალიგრაფიას ჰგავს).

რატომ არ გამოქვეყნდა თავის დროზე აღნიშნული ნაშრომი, ჩვენთვის უცნობია.

როდის უნდა დაეწერა კ. კეკელიძეს დასახელებული ნაშრომი? ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნაშრომის ბოლოს მოცემული გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. კარბელაშვილი, იერარქია, საქართველოს ეკლესიისა, ტფილისი, 1900;

2. Ф. Жордания, Краткие исторические сведения об автокефалии грузин. церкви. Кутаис, 1905;

3. ნ. ბერძენიშვილი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება, მიმომხილველი I,

4. ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, 11, 126 და შემდ.;

5. კ. კეკელიძე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ტფილ. უნივერ. მოამბე X.

მოცემული დამოწმებული ლიტერატურიდან ორ მათგანს გამოცემის წელი მითითებული აქვს (1900 და 1905 წლები), დანარჩენ სამს კი - არა. ნ. ბერძენიშვილის წიგნი „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება“ 1926 წელს გამოიცა. გამოყენებულ ლიტერატურაში, ასევე მითითებულია სარგის კაკაბაძის ნაშრომი (ტექსტში ერთგან მითითებულია და იქიდან ვგებულობთ, რომ ეს არის ს. კაკაბაძის ნაშრომი „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“), რომელიც, როგორც კ. კეკელიძის ნაშრომშია მითითებული, „საისტორიო მოამბის“ მეთერთმეტე ტომშია დაბეჭდილი. ჩვენ გადავამოწმეთ „საისტორიო მოამბის“ მეთერთმეტე ტომი (მეთერთმეტე და მეთორმეტე ტომები ერთად დაიბეჭდა 1960 წელს), თუმცა მასში სარგის კაკაბაძის ნაშრომი არ არის. ანუ, ლიტერატურის დამოწმების

[1] ფონდი 2119, ანაწერი 1, საქმე 415.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

დროს, საქმე გვაქვს გარკვეულ შეცდომასთან. სარგის კაკაბაძის ნაშრომი „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“, ორ ტომად, 1921 წელს გამოიცა. აქედან გამომდინარე, კ. კეკელიძის ნაშრომში დამოწმებული სარგის კაკაბაძის ნაშრომის თარიღად სწორედ 1921 წელი მივიჩნიეთ.

რაც შეეხება კორნელი კეკელიძის ნაშრომს „კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში“, რომელიც ასევე მითითებულია გამოყენებულ ლიტერატურაში, ის 1930 წელს გამოიცა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კ. კეკელიძის ნაშრომის დაწერის ქვედა ზღვარია 1930 წელი. როგორც ვიცით, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია 1947 წელს გარდაიცვალა, ეს კი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ კ. კეკელიძის დასახელებული ნაშრომი 1930-1947 წლებს შორის პერიოდში დაიწერა.

მეთოდი

სტატიაში გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზის მეთოდი.

შედეგები

სტატიაში ნაჩვენებია აკადემიკოს კორნელი კეკელიძის თვალსაზრისი აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოშობის დროსთან და გარემოებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მეცნიერი უარყოფს მოსაზრებას, რომ აღნიშნული საკათალიკოსო XIII საუკუნეშია წარმოშობილი. როგორც კ. კეკელიძეს მიაჩნია, აფხაზეთის საკათალიკოსო უკვე X საუკუნეში არსებობდა. ამის დასტურად ის იმოწმებს ქართულ წყაროებს, სადაც კათალიკოსები მრავლობითში იხსენიებიან. საქართველოს სამეფოში (იგულისხმება ერთიანი საქართველოს სამეფო) ორივე საკათალიკოსო - მცხეთის საკათალიკოსო და აფხაზეთის საკათალიკოსო - თანაარსებობდა. კ. კეკელიძის აზრით, მცხეთის საკათალიკოსომ გარკვეული პრივილეგიები მოიპოვა, როგორც დედაქალაქში არსებულმა საკათალიკოსომ, თუმცა, ეს პრივილეგია იყო „პატივისა და არა უფლებისა“. ის ავლებს პარალელს ბიზანტიის იმპერიასთან, სადაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ მოიპოვა უპირატესობა დანარჩენ საპატრიარქოებთან შედარებით (ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებთან შედარებით), რადგან ის დედაქალაქში მდებარეობდა და კონსტანტონოპოლის პატრიარქი იმპერატორთან უფრო ახლოს იმყოფებოდა.

მსჯელობა

ნაშრომში კ. კეკელიძე მიმოიხილავს საქართველოში ორი საკათალიკოსოს არსებობის ფაქტს, რომელთაგან ერთი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობდა - მცხეთის საკათალიკოსო, ხოლო მეორე კი - დასავლეთ საქართველოში - აფხაზეთის საკათალიკოსო. კ. კეკელიძის აზრით, თუკი აღმოსავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს შექმნა აქ ქრისტიანობის ორგანიზაციულ მოწყობასთან იყო დაკავშირებული, საპირისპირო ვითარებაა აფხაზეთის საკათალიკოსოსთან მიმართებაში.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

კ. კეკელიძე აკრიტიკებს გავრცელებულ მოსაზრებას, რომ თითქოს აფხაზეთის საკათალიკოსო XIII საუკუნეში დაარსდა. კ. კეკელიძის აზრით აფხაზეთის საკათალიკოსო X საუკუნის მეორე ნახევარში უკვე არსებობდა. ამის დასტურად ავტორი აცხადებს, რომ ბიჭვინთის საკათედრო ტაძრის ფრესკებზე, რომელიც X საუკუნის ძეგლს წარმოადგენს, გამოსახული ყოფილა კათალიკოსის საყდარი და მის გარშემო თორმეტი მღვდელმთავარი. ამას გარდა, კ. კეკელიძე იმოწმებს წერილობით წყაროებს, მაგალითად, მემატიანის ცნობით, ბაგრატ III-მ (980-1014) შემოკრიბა „ქათალიკოზნი... სამეფოსა მისსა მყოფნი“. მატიანეში, ასევე საუბარია, რომ დავით აღმაშენებელმა (1089-1125) „შემოკრიბნა სამეფოისა თვისისა კათალიკოზნი“. დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის დროს ცნობილი ყოფილან „კათალიკოზნი“ და არა კათალიკოსი. გიორგი III-მ თავისი ქალიშვილი თამარი „მეფე ყო თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა“, ცხადია, აქ იგულისხმება „იმიერთა და ამიერთა“ კათალიკოსები. ლაშა-გიორგის, რომელმაც „არა ინება ქორწინება ცოლისა /თანა სჯულიერისა/“, შეკრიბეს „კათალიკოზნი...“ და მოახსენეს. მერე „კათალიკოსთა ორთავე“ განეშორეს მას. ლაშა-გიორგის გარდაცვალების შემდეგ „შეკრბეს წარჩინებულნი მის სამეფოსანი იმერელნი კათალიკოზთა ორთავე წინაშე... და მეფე ყვეს რუსუდან“.

მოტანილი ფაქტებიდან გამომდინარე, კ. კეკელიძე ასკვნის, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო არსებობდა არა XIII საუკუნის პირველი მეოთხედიდან, არამედ X-XII საუკუნეებში.

დასავლეთ საქართველოში, სადაც ბერძნული კოლონიები არსებობდა, ქრისტიანობა საბერძნეთიდან შემოვიდა, ამიტომ ეს ტერიტორია ეკლესიურად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა. აქ არსებობდა ბერძნების ორი საეკლესიო ერთეული: ლაზიკის მიტროპოლია და აბაზგიის (რომლის დედაქალაქად ითვლებოდა „სებასტექალაქი“ ან „ცხუმი“) ავტოკეფალური არქიეპისკოპია.

VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში ქართველების კოლონიზაცია განხორციელდა, რომელმაც თანდათანობით შეზღუდა აღნიშნული ეპარქიები. საქართველოს გაერთიანებასთან ერთად მოისპო ლაზიკის ბერძნული მიტროპოლია და აბაზგიის სამთავრეპისკოპოსოც. ბიზანტიის საერო და სასულიერო ხელისუფლების მიერ ამ ერთეულებისთვის მინიჭებული პრივილეგიები მათ გაუქმებასთან ერთად იმ ქართულ საეკლესიო ერთეულებზე გადავიდა, რომლებიც აქ წარმოიშვნენ. კ. კეკელიძეს ლაზიკის მიტროპოლიის პრივილეგიების გამგრძელებლად მიაჩნია ჭყონდიდის საეპისკოპოსო, რომელიც X საუკუნის პირველ ნახევარში მეფე გიორგიმ დაარსა, ხოლო აბაზგიის ავტოკეფალური არქიეპისკოპოსიის პრივილეგიები კი - ბიჭვინთის საეპისკოპოსოზე გადავიდა, რომელიც X საუკუნეში უკვე არსებობდა. ბიჭვინთის ეპარქიის მიერ უფრო მეტი პრივილეგიის მოპოვება, მისი აფხაზეთის სამეფოს „დედა-საყდრად“ გადაქცევას უკავშირდება.

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

აფხაზეთის კათალიკოსი ისეთივე დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი იყო თავის სამწყსოში, როგორც მცხეთის კათალიკოსი. მართალია ერთიან საქართველოში მეფის კარზე და საერთო ღვთისმსახურებისას უპირატესობა მცხეთის კათალიკოსს ჰქონდა, მაგრამ ეს იყო უპირატესობა „პატივისა და არა უფლებისა“. კ. კეკელიძე, წყაროებზე დაყრდნობით, საუბრობს აფხაზეთისა და მცხეთის კათალიკოსებს შორის უფლებებისთვის ბრძოლაზე: მცხეთის კათალიკოსი უტევს, აფხაზეთის კათალიკოსი კი თავს იცავს, მიზნისათვის ორივე მათგანი სხვადასხვა საშუალებებს მიმართავს. კ. კეკელიძე პარალელს ავლებს ბიზანტიის იმპერიასთან, სადაც ოთხი საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის. თითოეული პატრიარქი დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი მწყემსთავარი იყო, მაგრამ ვინაიდან კონსტანტინოპოლის პატრიარქი სატახტო ქალაქის იერარქს წარმოადგენდა და მუდამ იმპერატორის გვერდით ცხოვრობდა, მას სხვებთან შედარებით მეტი პრივილეგია ჰქონდა: ის თავმჯდომარეობდა კონსტანტინოპოლისა და მსოფლიო საეკლესიო კრებებს, მხოლოდ მას ჰქონდა იმპერატორის კურთხევის პრეროგატივა, მას პირველი ადგილი ეკავა საერთო წირვა-ლოცვაზე, ის შუამდგომლობდა იმპერატორის წინაშე სხვა პატრიარქებს. ანალოგიური ვითარება იყო საქართველოშიც: მაშინაც კი, როდესაც დასავლეთ საქართველო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ამ შემთხვევაშიც, საერთო ქართული შეგნებით, აღმოსავლეთ საქართველოს მეფე იყო „მეფეთა მეფე“ და ეს გარემოება მის გვერდით მყოფ მცხეთის კათალიკოსს უპირატესობას ანიჭებდა.

აფხაზეთის კათალიკოსის კათედრა თავიდანვე ბიჭვინთაში მდებარეობდა, მაგრამ კათალიკოსმა ზაქარია ქვარიანმა (1656-1659) ის გელათში გადმოიტანა. კ. კეკელიძე ჩამოთვლის აფხაზეთის კათალიკოსების ქრონოლოგიურ რიგს და აცხადებს, რომ მაქსიმე II აბაშიძე, რომელიც კიევში გარდაიცვალა, არ ყოფილა აფხაზეთის უკანასკნელი კათალიკოსი, რადგან იმერეთის მეფე სოლომონ II 1789 წლის 6 ნოემბრის სიგელში შემდეგ რამეს წერს: „ამისა შემდგომად ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოსს კათოლიკოზობა უბოძეთ“. ეს სწორედ ის დოსითეოსია, რომელიც, ექვთიმე გენათელთან ერთად, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო აჯანყების დროს, რუსეთის იმპერიის მოხელეებმა შეიპყრეს, რუსეთში გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ გზაში ცემით მოკლეს.

დასკვნა

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომი „აფხაზეთის საკათალიკოზო“, ჩვენი აზრით, 1930-1947 წლებს შორის პერიოდშია დაწერილი. მართალია ნაშრომში აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ გარკვეული კორექტივები შეიტანა, თუმცა, ჩვენთვის უცნობები მიზეზის გამო, ის დღემდე არ გამოქვეყნებულა. კ. კეკელიძის მტკიცებით, აფხაზეთის საკათალიკოსო X საუკუნეში უკვე არსებობდა, რადგან ქართულ წყაროებში კათალიკოსები მრავლობითში იხსენიებიან. მართალია მცხეთის კათალიკოსს გარკვეული პრივილეგიები ჰქონდა, თუმცა ეს პრივი-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ლეგია იყო „პატივისა და არა უფლებისა“. კ. კეკელიძის ნაშრომი „აფხაზეთის საკათალიკოზო“ პირველად ხდება ფართო განსჯის საგანი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

საარქივო წყაროები:

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 2119. ანაწერი 1. საქმე 415.

ლიტერატურა:

ბერძენიშვილი 1926: ნიკო ბერძენიშვილი. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება. ტფილისი. 1926.

ბერძენიშვილი 1926: ნიკო ბერძენიშვილი. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება. ტფილისი. 1926.

კარბელაშვილი 1900: პოლიეკვტოს კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა: კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი /შედგენილი მღ. პოლიეკვტოს კარბელაშვილის მიერ/. თბილისი. 1900.

კეკელიძე 1930: კორნელი კეკელიძე. კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. X. ტფილისი. 1930.

Жордания 1905: Федор Жордания. Краткие исторические сведения об автокефалии грузинской церкви. Кутаис. 1905.

References

Archival sources:

Central Historical Archive of the National Archives of Georgia. Fund 2119. Transcript 1. Case 415.

Literature:

Berdzenishvili 1926: Niko Berdzenishvili. Ecclesiastical Order in Western Georgia.Tfilisi. 1926.

Karbelashvili 1900: Poliektos Karbelashvili. The Hierarchy of the Georgian Church: Catholicoses and Hierarchs /Compiled by Rev. Poliektos Karbelashvili/. Tbilisi. 1900.

Kekelidze 1930: Korneli Kekelidze. Canonical Organization in Old Georgia. Bulletin of Tiflis University. X. Tiflis. 1930.

Jordania 1905: Fedor Zhordania. Brief Historical Information on the Autocephaly of the Georgian Church. Kutaisi. 1905.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026